ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8011217

ნომერი: AR11150432

თარიღი : 01.07.2026

გაცემის თარიღი : 22.07.2026

გაცნობის თარიღი : 22.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

2026 წლის 1 ივლისის №AR11150432 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 1

ივლისის №AR11150432 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებით, N01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანების საფუძველზე მშენებლობის განხორციელების ინტერესი. შესაბამისად, ითხოვს მის ძალადაკარგულად გამოცხადებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882026486580, მომზადების თარიღი: 02/07/2026) თანახმად, №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ერთ-ერთ თანამესაკუთრეს წარმოადგენს შპს „დიღომი 2021“ (ს/ნ: 405463724). ამასთან, სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს “დიღომი2021“ (ს/ნ: 405463724).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25061436; მომზადების თარიღი: 22/04/2025 წ.) შპს „დიღომი 2021“-ის (ს/ნ: 405463724) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს ერთობლივად წარმოადგენენ ლაშა გოგოლაძე (პ/ნ: 11001017478) და გიორგი ბედოიძე (პ/ნ: 01017042644). წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილია მხოლოდ შპს „დიღომი 2021“-ის (ს/ნ: 405463724) დირექტორის - ლაშა გოგოლაძის (პ/ნ: 11001017478) მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N231780648, რეგისტრაციის თარიღი: 29.12.2023 წ.). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შპს „დიღომი 2021“-ის (ს/ნ: 405463724) დირექტორის - გიორგი ბედოიძის (პ/ნ: 01017042644) მიერ, განმცხადებლის სახელზე გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული მინდობილობა.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2026 წლის 1 ივლისის №AR11150432 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.